

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: ანა და გიგა

3-დან 8-ის ჩათვლით ყველა ციფრის გამოყენებით შესაძლებელია ორი სამნიშნა რიცხვის შედგენა. მაგალითად 736 და 584. ამ ორი რიცხვის სხვაობა 152-ის ტოლია.

გიგას უნდა, ამ 6 ციფრით ისეთი ორი სამნიშნა რიცხვი შეადგინოს, რომ მათი სხვაობა იყოს რაც შეიძლება დიდი. ანას კი უნდა, ამ 6 ციფრით ისეთი ორი სამნიშნა რიცხვი შეადგინოს, რომ მათი სხვაობა (დიდს რომ პატარას გამოვაკლებთ) იყოს რაც შეიძლება მცირე.

ა) რა რიცხვები უნდა შეადგინოს გიგამ და რა იქნება მათი სხვაობა?

ბ) რა რიცხვები უნდა შეადგინოს ანამ და რა იქნება მათი სხვაობა?

(პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 2: ორი მსუნაგი

გიორგი, ნატო, ბარბარე, ანდრია და ზურა მოუთმენლად ელოდნენ, როდის გახსნიდა დედა შოკოლადის კოლოფს. ორმა მათგანმა ვეღარ მოითმინა და ყველასათვის შეუმჩნევლად კოლოფი გახსნეს.

როდესაც დედამ გახსნილი კოლოფი აღმოაჩინა, მან იკითხა:

- ვინ ჩაიდინა ეს? - პასუხები ასეთი იყო:

გიორგი: ზურა არაფერ შუაშია, მას არ გაუხსნია კოლოფი;

ნატო: ბარბარე არ არის დამნაშავე;

ბარბარე: ანდრია არ არის დამნაშავე;

ანდრია: ან ნატოა დამნაშავე, ან გიორგი;

ზურა: ბარბარე დამნაშავეა.

შემდეგ გაირკვა, რომ სამმა მართალი თქვა, ხოლო იმ ორმა, ვინც კოლოფი გახსნა, იცრუა. რომელია ეს ორი? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: ახირებული ბიჭი

ერთი ახირებული ბიჭი ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით ყოველთვის სიმართლეს ამბობს, ორშაბათობით ყოველთვის ცრუობს, კვირის სხვა დღეებში კი ან სიმართლეს ამბობს ან ცრუობს. მას ზედიზედ 6 დღის განმავლობაში ეკითხებოდნენ სახელს. ის ასე პასუხობდა: გია, დათო, გია, დათო, ზაზა, დათო.

როგორ უპასუხებს იგივე შეკითხვას ბიჭი მომდევნო დღეს და რა ჰქვია მას სინამდვილეში? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 4: ფანქრები კოლოფში

კოლოფში 6 წითელი, 10 ლურჯი და 8 მწვანე ფანქარია. სულ ცოტა რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ კოლოფში ჩაუხედავად, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს: ა) 2 წითელი ფანქარი; ბ) 5 ლურჯი ფანქარი; გ) 3 წითელი და 3 ლურჯი; დ) ერთი ფერის 3 ფანქარი; ე) რომელიმე ორი ფერის 3-3 ფანქარი?

ამოცანა 5: რამდენი რიცხვია ასეთი?

გაეცით დასაბუთებული პასუხები შეკითხვებს:

1. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 4-ზე და 3-ზე?
2. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 4-ზე და არ იყოფა 3-ზე?
3. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 3-ზე და არ იყოფა 4-ზე?
4. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა ან 4-ზე ან 3-ზე?
5. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც არ იყოფა არც 4-ზე და არც 3-ზე?